პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 1 20 0000653488

02/08/2020

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის N77 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის N77 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი).**
2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 31 ივლისი.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 02 აგვისტოს №653443 ოქმის მეცხრამეტე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩაგელიშვილი მარიამ

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	**პროგრამის დასახელება**	**პროფესიული განათლების საფეხური / დონე**	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)**	**კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის**	**კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის**	**სწავლების ენა**	**ადგილების ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები**
1	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი (1)	მესამე საფეხური	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040679	66	81	ქართული	20	ქ.თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68
2	მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	70	100	ქართული	24	ქ.თბილისი, მ.კოსტავას ქ. №75, №77
3	სამთო ტექნიკოსი (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამთო საქმეში 0724	60	75	ქართული	40	ქ.ტყიბული, კ.ლომაძის მოედანი №4, თაბუკაშვილის ქ. №13
4	სამთო ელექტრომექანიკოსი (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამთო საქმეში 0724	60	75	ქართული	40	ქ.ტყიბული, კ.ლომაძის მოედანი №4, თაბუკაშვილის ქ. №13
5	მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამთო საქმეში 0724	60	75	ქართული	20	ქ.ტყიბული, კ.ლომაძის მოედანი №4, ბარათაშვილის ქ. №1
6	მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მექანიკაში 0715	120	150	ქართული	24	ქ.თბილისი, მ. კოსტავას ქ.№68, №77
7	მექატრონიკა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მექატრონიკაში 0713	120	150	ქართული	24	ქ.თბილისი, მ. კოსტავას ქ.№68, №77

8	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი (1)	მეოთხე საფეხური	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080381	114	144	ქართული	10	ქ.თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68
9	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა (1)	მეოთხე საფეხური	სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040778	98	128	ქართული	20	ქ.თბილისი, მ.კოსტავას ქ. №68
10	არქიტექტორ-ტექნიკოსი (1)	მეოთხე საფეხური	არქიტექტორ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 110153	84	114	ქართული	20	ქ.თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68
11	სამრეწველო ავტომატიზაცია (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრონული მოწყობილობების ექსპლუატაციაში 0714	120	150	ქართული	24	ქ.თბილისი, მ. კოსტავას ქ.№68, №77

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.